გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,
ვებ–გვერდი, 03/05/2012

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №0512/02-1

2012 წლის 2 მაისი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №2 დანართს, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, დაემატოს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული მონაცემები.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან, ნომრები 32 და 95 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №2 დანართში მოცემული რედაქციით.

3. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №2 დანართიდან, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ამოღებულ იქნეს ნომრები 34 და 69.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. როინიშვილი

დანართი №1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ.თარიღი და ადგილი, ეროვნება/მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი(ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვა-ნის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
298	სახელები: 1. სონი (SON) 2. ჰადი (HADI) 3. ბინ მუჰაჯირი (BIN MUHADJIR) დაბ.თარიღი: 12.05.71 დაბ.ადგილი: პასურანი, აღოსავლეთი იავა, ინდონეზია (Pasuran, East Java, Indonesia) ეროვნება/მოქალაქეობა: ინდონეზიელი	ა) სონ ჰადი ბინ მუჰაჯრი (Son Hadi bin Muhadjr); ბ) სონ ბნ ჰადი მუჰაჯირი (Son bn Hadi Muhadjir); გ) სონ ჰადი ბინ მუჯაჰირი (Son Hadi bin Mujahir).	პასპორტის მონაცემები: ინდონეზიის პასპორტი: №R057803 გაცემული სონ ბნ ჰადი მუჰაჯირის (Son bn Hadi Muhadjir) სახელზე. პირადი ნომერი: ინდონეზიის პირადობის მოწმობა №3514131205710004 გაცემული სონ ჰადის (Son Hadi) სახელზე.	იალან რაია, გონგდანგლეგი, რტ/რვ 1/13 კანგრინგ მალანგი, ბეჯი, პასურანი, 67154, აღმ. იავა, ინდონეზია (Jalan Raya, Gongdanglegi, RT/RW 1/13 Cangkring Malang, Beji, Pasuran 67154, East Java, Indonesia).	13.04.12	მედია-ცენტრ Jemmah Anshorut Tauhid-ის სპიკერი და დირექტორი. აქვს კავშირი მოჩამად აჩვანთან (Mochammad Achwan) და ჯემააჰ ისლამიასთან (Jemaah Islamiyah).

დანართი №2

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

№	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6
32.	AL-HARAMAIN: THE NETHERLANDS BRANCH	Stichting Al Haramain Humanitarian Aid	Jan Hanzenstraat 114, 1053SV, Amsterdam, The Netherlands (სიაში შეყვანის დროს)	06.07.04 (ცვლილებები 13.04.12)	დამაარსებელი და ყოფილი ლიდერი – აქილ აბდულაზიზ აქილ ალ-აქილი (Aqeel Abdulaziz Aqeel al-Aqeel), რომელიც ასევე, იყო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.
95.	არაბეთის რეფორმირების მოძრაობა (MOVEMENT FOR REFORM IN ARABIA)	ა) Movement for Islamic Reform in Arabia; ბ) MIRA; გ) Al Islah (Reform); დ) MRA; ე) Al-Harakat al-	ა) BM Box: MIRA, London WC1N 3XX, United Kingdom; ბ) ალტერნატიული მისამართი: Safiee Suite, EBC House, Townsend Lane, London, NW9 8LL, United Kingdom	15.07.05 (ცვლილებები 13.04.12)	ელ.ფოსტა: info@islah.org info@islah.tv Website: http://www.islah.info ტელ: 020 8452 0303; ფაქსი: 020 8452 0808; კომპანიის ნომერი: :

Islamiyah lil-Islah; ვ) Islamic Movement for Reform; ზ) Movement for (Islamic) Reform in Arabia Ltd; თ) Movement for Reform in Arabia Ltd.	03834450 (UK) დამაარსებელი და მეთაური საად რაშედ მოჰამად ალ-ფაქიჰი (Saad Rashed Mohammad al-Faqih).